ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი,
სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

ანა ტალახაძე

მინდობით აღზრდა, როგორც ალტერნატიული ზრუნვის ფორმა და არსებული გამოწვევები თბილისის მასშტაბით

ნაშრომი შესრულებულია
სოციალური მუშაობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023

სარჩევი

ა

[illegible]

[illegible] ..... [illegible]

[illegible] ..... [illegible]

[illegible] ..... [

აბსტრაქტი

დეინსტუტიციონალიზაციის შემდეგ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა აქტიურად ჩაერთო ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული, ოჯახის ჩამნაცვლებელი სერვისების შექმნის პროცესში. ამ მიმართულებით განვითარდა და შეიქმნა ალტერნატიული ზრუნვის ფორმები, როგორიცაა მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები და სხვა. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკები აქტიურად მუშაობენ ბავშვებთან და ოჯახებთან და შესაბამისად ცდილობენ მათ გაძლიერებას. თუმცა არსებობს უკიდურესი შემთხვევები, როცა დღის წესრიგში დგება ბავშვის ოჯახიდან გაყვანის საჭიროება და ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება. მოცემული საბაკალავროს ძირითადი აქცენტი სწორედ ერთ-ერთ ალტერნატიულ ზრუბნვის ფორმაზე-მინობით აღზრდზე და მისი მიმდინარეობის თავისებურებებზე კეთდება. შესაბამისად, კველვის მიზანს წარმოადგენს მინდობით აღზრდის ძირითდი თავისებურებების და გამოვლენელი საჭიროებების ანალიზი თბილისის მასშტაბით. დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ისეთი ამოცანები, როგორიცაა ბავშვის დამცავი და რისკ-ფაქტორების გაანალიზება სისტემაში, სოციალური მუშაკებისა და მიმღები მშობლების თვალით დანახული გამოწვევების მიმოხილვა მინდობით აღზრდის განხორციელებისას და იმ გაუმჯობესების გზების შესწავლა, რომელიც პროგრამას მეტად ეფექტურს ხდის. კვლევის შედეგად ძირითადად გამოვლინდა ისეთი გამოწვევები, რომელიც უკავშირდება მიმღები მშობლების დეფიციტს, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას , სააგენტოს სოციალური მუშაკების შემთხვევების მზარდ რაოდენობას, რომელიც დაკავშირებულია მათ გადაღლასა და პროფესიულ გადაწვასთან და მომსახურების სიმწირეს.

შესავალი

მეოცე საუკუნის მიწურულამდე საქართველოში ბავშვზე ზრუნვის ყველაზე ეფექტურ ალტერნატიულ-ოჯახის ჩამნაცვლებელ ზრუნვის ფორმად სააღმზრდელო დაწესებულებები ითვლებოდა. აღნიშნული დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ უფასო კვებას, საცხოვრებელს, თუმცა ვერ ერგებოდნენ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. შესაბამისად, ცალკეული ბავშვის პერსონალური საჭიროებები, სურვილები და ქცევითი, თუ ემოციური თვისებურებები ყურადღების მიღმა რჩებოდა (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის, 2014). 1994 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ბავშვთა ზრუნვის მიმართლებით და ეს პირველ რიგში განაპირობა იმან , რომ საქართელომ ხელი მოაწერა ბავშვთა უფლებათა კონვენციას და ავტომატურად გაიზიარა მისი ძირითადადი პრინციპები და დებულებები. სწორედ ამ დროიდან დაედო სათავე ბავშვთა ზრუნვის სისტემის რეფორმირებას საქართველოში (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის, 2014).

მინდობით აღზრდა, როგორც ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმა პირდაპირ დაკავშირებულია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმასთან. რეფორმის მთვარი მიზანს წარმოადგენს დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებების დახურვა (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) და მათი ჩანაცვლება ალტერნატიული ზრუნვის ფორმებით, როგორიც არის მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები და ა.შ (საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის, 2014).

შვილად აყვანისა და მინოდბით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახნმად მინდობით აღზრდა არის „სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან, მიზნად ისახავს მინდობით აღსაზრდელის მოვლასა და აღზრდას და ხორციელდება სახელმწიფოსა და

მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე“

საქართველოში მინდობით აღზრდის შესახება კვლევითი ნაშრომები ცოტაა და ამიტომ საინტერესო იქნება, თუ გავაანალიზებთ პროგრამის განხორციელების თავისებურებებს და გამოვკვეთთ იმ საჭიროებებს, რომელზეც სფეროს ექსპერტები, თუ მინდობით აღმზრდელები ამახვილებენ ყურადღებას. საკითხის კველევის პროცესში საინტერესო იქნება განვიხილოთ პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს საქართველოში არსებული რეალობა მინდობით აღზრდის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს, რა საჭიროებები იკვეება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების, მინდობით აღმზრდელების და უშუალოდ პროგრამაში ჩართული ბავშვების მხრიდან. საკითხის გარშემო არსებული ტერმინების და ზოგადი ფონის მიმოსხილვისთვის გამოყენებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები, როგორიცაა საქართველოს კანონი შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასების სახელმძღვანელო, სახალხო დამცველის ანგარიში და სხვა რელევანტური მასალები.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს გავაანალიზოთ მინდობით აღზრდის თავისებურებები და გამოვლენელი საჭიროებები თბილისის მასშტაბით.

მოცემული მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- გავაანალიზოთ მინდობის აღზრდაში მყოფი ბავშვის განვითარების პროცესში დამცავი და რისკ ფაქტორების ურთიერთმიემრთების თავისებურება
- დავადგინოთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკები მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამის გამოყენებისას;
- დავადგინოთ, როგორი მხარდაჭერა აქვთ მიმღებ მშობლებს სისიტემის მხრიდან და რა ძირითად საჭიროებებს გამოჰყოფენ ისინი;

- გავაანალიზოთ მინდობით აღზრდის სისტემის გაუმჯობესების გზები.

საქართველოს კანონი შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ მაკფიოდ განმარტავს, ვინ არის მინდობით აღმზრდელი, მინდობით აღსაზრდელი და აგრეთვე იმას თუ, რომელ ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება განახორციელონ მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანის პროცედურები. შვილად აყვანისა და მინოდბით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად მინდობით აღმზრდელი არის „პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია მინდობით აღმზრდელად და გადამზადებულია განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვის მოვლისა და ზრუნვის საკითხებში“ საქართველოში მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირი, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომელიც უკავშირდება ადამიანის ქმედითუნარიანობას, კანონთან კონფლიქტში ყოფნას, პირის , ან პირის ოჯახის რომელიმე წევრის ნასამართლეობას, ეკონომიკური მდოგომარეობას და სხვა რიგ მიზეზებს, რაც კანონშია გაწერილი (საქართველოს პარლამენტი, 2017).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვს , რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს დროებით, ან ხანგრძლივი ვადით, ან საკუთარი საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ოჯახური გარემო მისთვის შეუფერებელია, მას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დახმარების და დაცვის მიღების უფლება აქვს (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 2000) ხშირად სწორედ ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ ის ბავშვები, რომლებსაც კონკრეტული უფლებამოსილი პირები, თუ ორგანოები მინდობით აღზრდაში გადაამისამართებენ.

შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ საქართელოს კანონის მიხედვით „მინდობით აღსაზრდელი არის 18 წლამდე პირი, რომელიც სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იყენებს ალტერნატიულ მზრუნველობის ფორმას-მინდობით

აღზრდას და აღსაზრდელად გადაეცემა მინდობით აღმზრდელს“ (საქართველოს პარლამენტი, 2017). მინდობით აღზრდაში გადასვლამდე ბავშვი წინასწარ ეცნობა საცხოვრებელ პირობებს, პოტენციურ მინდობით აღმზრდელს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურვილის არსებობის შემთხვევაში გადადის კონკრეტულ ოჯახში, როგორც მინდობით აღსაზრდელი ბავშვი (საქართველოს პარლამენტი,

ხშირ შემთხვევაში მინდობით აღსაზრდელი ბავშვების საჭიროებები ძალიან კომპლექსურია და დაკავშირებულია იმ ძირითადი აუცილებელი უფლებების და საჭიროებების უზრუნველყოფასთან, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციაში მკაფიოდ არის გწერილი. კონვენციის ძირითადი უფლებები შეგვიძლია ოთხ ძირითად კატეგორიაში გავაერთიანოთ:

- სიცოცხლე-ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის, სამედიცინო მომსახურების მიღების, გადარჩენის, სანიტარული სისტემით სარგებლობის უფლება.
- დაცვა-ბავშებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ყოველგვარი ძალადობისგან, დისკრიმინაციისგან, თუ ექსპლუატაციისგან.
- განვითარება-ბავშებს აქვთ უფლება განათლების მიღების, გონებრივი და ფიზიკური განვითარების, პოტენციალის სრული რეალიზაციის.
- მონაწილეობა- ყველა ბავშს გააჩნია უფლება მონაწილეების, საკუთარი აზრის დაფიქსირების, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომელიც მათაც ეხება (United Nations, 1989).

მინდობით აღზრდა, როგორც ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის მაგალითი და ალტერნატიული ზრუნვის ყველაზე ოპტიმალური ფორმა ჭეშმარიტად უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითრებას და დაცვას. ევროპის კავშირის, ევრო საბჭოს და საერთაშორისო სამართლის მიხედვით ალტერნატიული ზრუნვის გამოყენების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს 6 ძირითადი პრინციპი:

- ალტერნატიული ზრუნვა, როგორც დამცავი და უსაფრთხო გარემოს შემქნელი ღონისძიება.
- ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითრების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა
- ბავშვის უფლება წარმომადგენელის ან მზრუნველის ყოლის შესახებ
- მეოთხე პრინციპი უკავშირდება ბავშვის შეხედულებების გათვალისწინებას განთვსების ადგილისა და პირობების შესახებ, მის ინტერესებს და თნხმობის საკითხებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით
- მეხუთე პრინციპი ხაზს უსვამს ბავშვის უფრო ფართო უფლებების ხელშეწყობას, როგორიცაა რელიგიის თავისუფლება, პირადი ცხოვრების განკარგვის უფლება, გამოხატვის თვისუფლება, ნებისმიერი სახის ძალადობისგან დაცვის უფლება.
- მეექვს პრინციპის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაატარონ ყველა ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, ან სხვა სახის ღონისძიებები, რათა ხელი შეეწყოს იმ ბავშვების განვითრებას და სამომავლო რეალიზებას, რომლებიც დროებით, ან მუდმივად მოკლებულნი არიან ბიოოლოგიური ოჯახის მზრუნველობას (European Union Agency for

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ კვლევის შედეგები დაეყრდნო სიღმისეულ ინტერვიუებს, რომელიც ჩატარდა მინდობით აღზრდის პროგრამის განმხორციელებელ პირებთან-სოციალურ მუშაკებთან და მიმღებ მშობლებთან. ინფორმაციის გაანალიზებისთვის გამოყენებულ იქნა სახელმწიფო დონეზე არსებული დოკუმენტაცია და საერთაშორისო გამოცდილება, მოხდა მეორადი მონაცემების ანალიზი.

კვლევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის გზით, კერძოდ კვლევაში მონაწილე მხარეებთან ინტერვიუს ჩატარების თხოვნით წერილობით მივმართე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, როგორც მინდობით აღზრდის

განმხორციეოლებელ ორგანოს და ნებართვის საფუძველზე მივიღე იმ მიმღები მშობლებისა და სოციალური მუშაკების სია, რომლებიც ჩაერთვნენ ჩემს კვლევაში.

კვლევის ფარგლებში შეირჩა ქ. თბილისში რეგისტრირებული 4 მდედრობითი სქესის მინდობით აღმზრდელი, მათი ასაკი მერყეობდა 30-დან 58 წლამდე. ხოლო სოციალური მუშაკების რაოდენობა იყო 6 და მათი ასაკობრივი მაჩვენებელი მერყეობდა 25-დან 40 მლამდე.

ჯამში ჩატარდა 10 სიღმისეული ინტერვიუ და თითოეულის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 40 წუთს. დანართის სახით წარმოდგენილია კითხვარი თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის (დანართი 1, დანართი 2). ინტერვიუ განხორციელდა ზუმის მეშვეობით და გამოყენებულ იქნა აუდიო და ვიდეო ჩანაწერი. დაცული იყო კვლევის ერთიკის პრინცები - რესპონდენდბისგან მოპოვებული იყო კვლევაში მონაწიელობის შესახებ ვერბალური თანხობა.

კვლევის შეზღუდვას წარმოდაგენს ონლაინ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები, რადგან სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და მინდობით აღმზრდელების დროის დეფიციტის გამო ისინი არჩევდნენ ინტერვიუირების აღნიშნულ ფორმას. ონლაინ ჩატარებული ინტერვიუების მიუხედავად, შესაძლებელი იყო რესპოდენტებისგან ამომწურავი და გულწრფელი პასუხების მიღება.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა არის თვისებრივი და ვერ განზოგადდება ფართო პოპულაციაზე.

ლიტერატურის ანალიზი

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ მე-16 მუხლის ფარგლებში განსაზღვრავს სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მთვარ ფუნქცია-მოვალეობას ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში-სოციალურ მუშაკს ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე ევალება მისი განთავსება 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (მათ შორის, მინდობით

აღზრდა) და ასევე განხორციელებული მზრუნველობის მონიტორინგი

სააგენტოდან გამოთხოვილი მონაცემების თანახმად 2023 წლის მაისში 671 მინდობით აღმზრდელის ოჯახში განთავსებულია 1433 ბენეფიციარი. ასევე მინდობით აღზრდის შემთხვევაზე მუშაობს 300-მდე სოციალური მუშაკი და პროგრამაში დარეგისტრირებულია ასობით მინდობით აღმზრდელი (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, 2023).

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სამუშაო აღწერილობის მიხედვით გამოყოლფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელიც სოციალური სააგენტოს სოციალურ მუშაკებს ეკისრებათ. მაგალითად, ეს ძირითადად ეხება ბავშვის და მისი ოჯახის საჭიროებების შეფასებას, შეფასებაზე დაყრდნობით ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ოჯახების მხარდაჭერას ბავშვის აღზრდის პრობლემური საკითხებისა და ჯანმრთელობასთნ დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, გადაუდებელი, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების მართვა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას, ოჯახთან დასადები სპეციალური ხელშეკრულებების მომზადებას და უფროსი სოციალური მუშაკისთვის წარდგენას (სალომე ნამიჭეიშვილი, 2010).

სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება მინდობით აღზრდის საკითხებში სოციალური მომსახურების საგენტოს კომპეტენციას განეკუთნება. ხოლო ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება ხდება მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით. მიმღებ ოჯახში განთავსებამდე სოციალური მუშაკის კომპეტენციაა შეაფასოს რამდენად პასუხობს და ერგება ოჯახი ბავშვის განვითრების და სოციალიზაციისთვის საჭირო კრიტერიუმებს და ამის შემდეგ თავსდება ბავშვი კონკრეტულ მიმღებ მშობელთან (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

ბავშვის ოჯახიდან გაყვანისა და მინდობით აღზრდაში მოთავსების შემდეგ მშობლებს ხშირად განსხვავებული განცდები ეუფლებათ და როგორც კვლევებმა აჩვენა, მათ მიერ ბავშის და ბიოლოგიური დედის განცალკევება აღქმულია,

როგორც მშობლის სირცხვილი, დანაშაული, სტიგმა იმის საფუძველზე, რომ მისი ოჯახიდან ბავშვი მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩაერთო და სხვა (Therese Wisso,

კვლევებმა აჩვენა, რომ მშობლებს სჭირდებათ მაქსიმალური მხარდაჭერა და გაძლიერება, რადგან შვილების მიმართ მზრუნველობა მათ შესაძლოა განუვითარდეთ სხვადასხვა ფაზაში, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ამიტომ რეკომენდირებულია, რომ მშობლებს ჰქონდეთ შესაბამისი მხარდაჭერა სახელმწიფო სერვისებისა და ორგანოების მხრიდან, რათა მიიღონ, გაანალიზონ და ფუნდამენტურად გაიაზრონ, თუ რაში მდგომარეობს მათი, როგორც ოჯახის, მშობლის მთავარი ფუნქცია შვილთან/შვილებთან მიმართებით. უარყოფითი გამოცდილება და სოციალური სერვისების მხარდაჭერის ნაკლებობა აღნიშნული მიმართულებით ფართოდა გავრცელებული გამოწვევაა. პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით მეცნიერები აღნიშნავენ, რომ საჭროა გაიზარდოს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა კომპეტენციები მინდობით აღზრდის პროგრამაში. ამ მხრივ მოტივაციური ინტერვიუს ტექნიკა ხაზგასმულია, როგორც მუშაობის ეფექტური გზა, როგორც ბიოლოგიურ ოჯახებთან და მათ შვილებთან, აგრეთვე მინდობით აღმზრდელებთან. სხვა მკლვევართა აზრით, სოციალურ მუშაკებს გამომუშავებული უნდა ჰქონდეთ უნარი, რომ ბიოლოგიურ მშობლებს ნათლად აუხსნან ბავშვისგან განცალკევების საჭიროება რა კონკრეტულმა ფაქტორებმა განაპირობა, ისე რომ მშობელს არ დარჩეს სირცხვილის, უიმედობის, ან დაუძლურების განცდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომის გამოყენება ყველა ბიოლოგიურ მშობელთან შესაძლოა საჭირო არ გახდეს, თუმცა ინფორმაციის ისე მიწოდების უნარი, რომ მომსახურების მიმღებს „არ ავნო“, ხშირ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელია (Therese Wisso, 2021).

არსებებობს გარკვეული სირთულეები, რომელსაც ბიოლოგიური მშობლები ხედავენ, როდესაც მათი შვილები ალტერნატიულ ზრუნვის ფორმაში, მინდობით აღზრდაში გადაჰყავთ. მათი მხრიდან შეინიშნება დამოკიდებულება, რომლის საფუძველზეც ისინი ფიქრობენ, რომ მათი შვილები ძალიან დაუახლოვდებიან

მიმღებ მშობლებს, იგრძნობენ პოზიტიურ ოჯახურ გარემოს და მზრუნველობას და ნაკლებად იფიქრებენ ბიოლოგიურ მშობლებზე. ამასთან ერთდ არსებეობს მოსაზრებაც, რომელის მიხედვითაც ბიოლოგიური მშობლები ფიქრობენ, რომ ბევრად რთულია ბავშის დაბრუნება მინდობით აღზრდიდან ბიოლოგიური ოჯახში, ვიდრე ინსტიტუციებიდან, თუ თავშესაფრებიდან (UNICEF, 2009).

ძირითადი სახელმძღვანელო წყარო, რომლის მონაცემები და შედეგები მინდობით აღზრდის განხორციელების თავისებურებებს უკავშირდება საქართველოში, თავმოყრილია 2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში და ეწოდება „სპეციალური ანგარიში მინდობით აღზრდის სახცხელმწიფო ქვეპროგრამის მონიტო9რინგის შესახებ“.

აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები ბავშის და ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობის შესახებ. გაეროს გენერალური ანსაბლეის რეზოლუციის მიხედვით, იმ ბავშვებს, რომლებიც განთავსებული არიან სახელმწიფო მზრუნველობის რომელიმე კონკრეტულ ფორმაში (მაგალითად, მინდობით აღზრდა), აქვთ უფლება ჰქონდეთ კავშირი ბიოლოგიურ ოჯახთან, თუ ეს მათ საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ეროვნულ დონეზე, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბენეფიციარსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის ეფექტურ კომუნიკაციას და კავშირის უწყვეტობას. მეურვეობა-მზრუნველობის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოები ამ კუთხით 3 ძირითადად მექანიზმს იყენებენ:

ისტემატიური სატელეფონო კავშირი ბავშვსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის;

ერიოდული შეხვედრები ბიოლოგიური ოჯახის წევრებსა და ბენეფიციარს შორის;

იოლოგიური მშობლის მიერ შვილის დროებით, წინასწარგანსაზღვრული ვადით გაყვნა მინდობით აღმზრდელის ოჯახიდან.

ბენეფიციარის და ბიოლოგიური ოჯახს შორის კონტაქტის პროცენტული მაჩვენებელი ზემოთ განსაზღვრული მექანიზმების მიხედვით ასეთია:

სატელეფონო კომუნიკაციის უფლებას იყენებენ 70%-ით, პერიოდული შეხვედრის უფლებას შვილებთან ბიოლოგიური მშობლებები ახორციელებენ ძირითადად შემთხვევაში 60%-ით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნება ბავშვის რეგულარული გაყვანის უფლების გამოყენების კუთხით. ამასთან მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც მშობლებს შეეზღუდათ ბავშვის ნახვის უფლება, მათზე სახიფათო ზეგავლენის მოხდენის პრევენციის მიზნით და ასევე იმ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც ბენეფიციარები წარსულში იყვნენ ბიოლოგიური ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. აგრეთვე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც აკრძალულ იქნა სატელეფონო შეხვედრებიც კი. განსაკუთრებით მაშინ, თუ ბიოლოგიური მშობლები შვილებს მოუწოდებდნენ სახლიდან გაქცევისა და დაუმორჩილებლობისკენ (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებების კვლევის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვის ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა ბავშვების განთავსების მიხედვით ეს არის მინდობით აღზრდა. ანგარიშის მიხედვით, 2019 წლეს სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე ბიოლოგიური ოჯახებიდან გაყვანილი ბავშვების 54% განთავსებულია მინდობით აღზრდაში, 32% - მცირე საოჯახო სახლში, ხოლო მცირე რაოდენობა,

იმავე ანგარიშში ნაჩვენებია რესპოდენტების მხრიდან დასახელებული ის ძირითადი მიზეზები, რაც სახელმწიფო ზრუნვის ფორმაში გადასვლას უკავშირდება. ყველაზე გავრცელებული მიზეზი პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით უკავშირდება არასკმარის ფინანსებს და შეადგენს 15.1%-ს, აგრეთვე განთავსების გავრცელებული მიზეზი აღმოჩნდა საბინაო პირობები (12%), ოჯახის წევრების უმუშევრობა(11%) და ჩამოთვლილ მიზეზთაგან ყველაზე ნაკლებად განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა , საცხოვრებლის დაკარგვა/დაზიანება, მშობლებს შორის კონფლიქტი და მშობლების განქორწინება (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2019).

სახლმიწიფო ზრუნვის სიისტემაში განთავსების შესახებ ინფორმაციის მიღება განსხვავებული წყაროდან შეიძლება მოხდეს, თუმცა ყველაზე ხშირად ალტერნატიული ზრუნვის ფომების შესახებ ინფორმაციას ოჯახებს სოციალური მუშაკი აწვდის. ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებების კვლევის ანგარიშის მიხედვით რესპოდენტთა უმრავლესობა, 36% ამბობს, რომ ფუნდამენტური ინფორმაცია ალტერნატიულ ზრუნვის ფორმებში ბავშვის/ბავშვების განთავსების შესაძლებლობის შესახებ სოციალური მუშაკისგან მიიღეს. ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი ინფორმაციის გავრცელების კუთხით მიენიჭა შემდეგ კატეგორიებს: ექიმი და მასწავლებელი (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2019). აღნიშნული კვლევა შედარებით მცირე მასშტაბებს მოიცავს და გურიის რაიონის მაგალითზე ჩატარებულ საკვლევ სამუშაოებს ეფუძნება, შესაბამისად საქართველოში არსებული სიტუაციის განზოგადების საშუალებას არ იძლევა, თუმცა წარმოადგენს ზოგად სურათს ერთი კონკრეტული რაონის ფარგლებში, რომელიც აჩვენებს ქვეყანაში არსებულ მნიშნველოვან ტენდენციებს.

ადგილობრივი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს ინსტიტუციურ დაწესებულებაში მოხვედრის პრევენციულ საშუალებას და არის შესაძლებლობას ბავში გაიზარდოს და განვითარდეს ოჯახურ გარემოში. მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა, თავისი არსით, ხელს უწყობს მზრუნველობამოკლებულ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ბიოლოგიურ ოჯახთან მაქსიმალურად დაახლოებულ გარემოში აღზრდას. მიუხედავად პროგრამის ბენეფიტებისა, არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომელიც გამოწვევულია მულტიფაქტორული ზემოქმედებით და ძირითადად მოიცავს შემდეგ პრობლემებს: გეორაფიული ხელმისაწვდომობა, მიმღები მშობლების გადამზადება და კვალიფიკაცია, რელევანტური უწყებების მიმართ მინდობით აღზრდის სისტემის მუდმივი მეთვალყურეობის დეფიციტი, ბავშვის განვითარებასა და დაცვაზე სისტემური მონიტორინგის და ზედამხედველობის დანაკლისი (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებისას ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ბავშის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობა იმ შემთხევვაში, როდესაც მინდობით აღსაზრდელთა რაოდენობა ოჯახში სამი, ან მეტი ხდება. 3-ზე მეტი ბენეფიციარის განთავსების შემთხვევაში ფერხდება ბავშვისთვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება სააღმზრდელო , საგანმანათლებლო და სათანადო ფიზიკურ გარემო პირობებზე ხელმისაწვდომობის კუთხით (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

დამცავი და რისკ-ფაქტორები ბავშვის განვითარების პროცესში და მინოდობით აღზრდა

როგორც აღვნიშნეთ ბავშვები მინდობით აღზრდის სისტემაში 0-დან 18 წლამდე ასაკობრივ პერიოდში შეიძლება აღმოჩნდნენ. შესაბამისად, მათი საჭიროებების, დამცავი და რისკ-ფაქტორების დადგენა პროგრამის მხრიდან აღნიშული ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით უნდა განხორციელდეს. 0-დან 18 წლამდე ასაკობრივი პერიოდი თავის თავში მოიცავს განვითარების სხვადასხვა ეტაპებს და საფეხურებს. მათგან შეგვიძლია ძირითდად გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასაკობრივი პერიოდი, რომლის დაძლევისა და ადეკვატურად გადალახვის შესაძლებლობას პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს. ბავშის განვითრების საფეხურების აღსაწერად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: ჩვილობა, პატარაობა, ადრეული ბავშობა, შუა ბავშობა და მოზარდობა. თითოეულ მათგანს გააჩნია განვითარების მეტ-ნაკლებად ფართო პერიოდი და ასაკობრივი კატეგორიისთვის შესაბამისი ქცევები, თუ მახასიათებლები.

ჩვილოვბის პერიოდში (სიცოცხლის პირველი წელი) ბავშვები მთლიანად დამოკიდებულნი არიან მათ აღმზრდელზე, რომლებიც მრავალმხრივ ზრუნავენ ბავშვზე, უზრუნველყოფენ მის მრავლისმომცველ საჭიროებებს და ცდილობენ შეაფასონ კონკრეტულ მომენტში რა საჭიროება აქვს, რა აწუხებს ბავშვს და რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული ეს წუხილი. ჩვილებს შეუძლიათ ნაწილობრივ გამოიყენონ შეგრძნებები სამყაროს შესაცნობათ, მათ უვითარდებათ მოტორული უნარები, ისინი აგრეთვე აყალიბებენ ძლიერ ემოციურ მიჯაჭვულობას

მზრუნველის მიმართ. სიცოცხლის პირველ წელს საფუძველი ეყრება ენის შესწავლას. პატარები (1-დან 3 წლამდე) განაგრძობენ სამყაროს შეცნობას, მეტად დამოუკიდებელი ხდებია მზრუნველისგან და აქტიურად უვითრდებათ მოტორული უნარ-ჩვევები. ადრეული ბავშვობის პერიოდში (3-დან 6 წლამდე) ბავშვები თამაშის საშუალებით სწავლობენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს, მეტად შეიცნობენ საკუთარ თავს და მათთვის საკუთარ განცდებთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება, თუ როგორ აღიქვამენ სხვა ადამინები სამყაროს, როგორია სხვების განცდები და ემოციები. შუა ბავშვობაში (6-დან 12წლამდე) ვითარდება უფრო მოწესრიგებული და სტრუქტურირებული აზროვნება, მთავარი ფოკუსია ინტელექტუალური და კონგიტური შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვა. ძირითადად ამ ეტაპზე ბავშვები ეძებენ კითხვაზე პასუხს, თუ ვინ არიან ისინი, რა ხდის მათ უნიკალურს. სკოლა და თანატოლებთან ურთიერთობა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. შუა ბავშვობა არის საფეხური, რომლის შემდეგაც ერთ-ერთი კოპლექსური და მრავალფეროვანი ეტაპი დგება დღის წესრიგში. მოზარდობა ხასიათდება. მათი სხეული განიცდის ფიზიკურ ცვლილებებს, რომლიც მათ ზრდასრულობისკენ უბიძგებს, იწყება მათი სქესობრივი მომწიფება. მოზარდებს შეუძლიათ აზროვნება და მსჯელობა უფრო აბსტრაქტულ დონეზე და მათ უვითარდებათ უფრო ძლიერი გრძნობა იმის შესახებ, თუ ვინ არიან და ვინ უნდათ გახდნენ. ოჯახი მათთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ თანატოლებთან ურთიერთობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ადრე ჰქონდა. ამ პერიოდში ხშირია ასაკობრივი თავისებურებებით განპირობებული პრობლემები. კოპლექსები გარეგნობის გამო, ოჯახური მდგომარეობის და პირადი ურთიერთობების გამოწვევები, რომლებსაც მოზარდები განსხვავებულად უმკლავდებიან. ხშირად უჭირთ გამოწვევებთან ბრძოლა და ესაჭიროებათ მხარდაჭერა (Laura E. Levvine,

ტრავმა, უგულებელყოფა, ბავშვისთვის არასათანადო გარემო პირობებში ცხოვრების გამოცდილება, იწვევს სხვადასხა სირთულეებს ბავშვის ჯანმრთელობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით (American Academy Of

ტრავმული მოვლენების გამოცდილებამ შესაძლოა გამოიწვიოს დისრეგულაცია, ქცევის გართულება, იმპულსურობა, შფოთვა, განწყობის ცვალებადობა და ძილის პრობლემები. ბავშვები, რომლებიც განიცდიან ძალადობას, უგულებელყოფას აქვთ მუდმივობის და უსაფრთხოების გაძლიერებული მოთხოვნილება, მათ სჭირდებათ მუდმივი მზრუნველი, სტაბილური ოჯახური გარემო და უსაფრთხოების განცდა. მინდობით აღზრდის სისტემა ბავშვს უნდა აძლევდეს პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელ კომპონენტებს, ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთობის დარეგულირებას თანატოლებთან, კლასელებთან და აუცილებლად უნდა უჭერდეს მხარს ბავშვის განათლებას, სოციალიზაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას (American Academy Of Pediatrics, 2019).

ზემოთხსენებული განვითარების საფეხურები ხშირად ბავშვებს განსხვავებული გამოწვევების წინაშე აყენებს. ჩვილები, ადრეული ასაკის ბავშვები და მოზარდები სხვადასხვა რისკ-ფაქტორების წინაშე დგანან, განსაკუთრებით მაშინ, რომდესაც მათი ოჯახური გარემო განვითარებისთვის არასათანადო და შემაფერხებელია. მინდობით აღზრდის სისტემაში უფლებამოსილ ორგანოებს ბავშები სწორედ აღნიშნული რისკ-ფაქტორიების დასაძლევად გადაჰყავთ. საინტერესო, როგორ მუშაობს მინდობით აღზრდის სისტემა და რამდენად დამცავი ალტერნატიული გარემოა ის ბავშვის განვითარების თვალსაზრისით.

- ჩვილობის ასაკში ბავშვებისთვის, რომლებიც სისტემაში ხვდებიან მნიშვნელოვანია თვითავტონომიისა და პოზიტიური მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან საყურადღებოა ემოციების თვითრეგულირებისა და მისაღები ქცევის პატერნების სწავლება;
- შუა ბავშვობის ასაკში მნიშვნელოვანია პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება თანაკლასელებთან და მეგობრეთან;
- სისტემაში მოხვედრილ მოზრადობის ასაკში მყოფ ბავშებთან მიმართებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ინდენტობის სწორი

ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და მომავლის პერსპექტივის სწორ დანახვაში

მინდობით აღზრდაში განთავსებული ჩვილი და ადრეული ასაკის მქონე ბავშვების შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი ქცევით-ემოციური სირთულეა მიჯაჭვულობა. მიჯაჭვულობის ორი მნიშვნელოვანი ფორმის მაგალითზე, რომ განვიხილოთ შევამჩნევთ განსხვავებას სანდო და არასანდო მიჯაჭვულობის ტიპებს შორის. ბავშვები, რომლებიც ხვდებიან მინდობით აღზრდის სისტემაში მეტწილად შეიძლება ჩამოყალიბებული ჰქონდეთ არასანდო მიმჯაჭვულობა აღმზრდელის მიმართ (Capstone Foster Care, 2023). არასანდო მიჯაჭვულობა თავისი არსით ეწინააღმდეგება სანდო მიჯაჭვულობის ტიპს, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ნდობა მზრუნველის მიმართ და იმის რწმენა, რომ ბავშვს შეუძლია ენდოს საკუთარ აღმზრდელს. სანდო მიჯაჭვულობის დროს ვხვდებით მსგავს ე.წ „შინაგან სამუშაო მოდელებს ბავშვებში“. მაგალითად, „მე შემიძლია ჩემზე ზრუნვა ვანდო აღმზრდელს, ამიტომ ადამიანებს შეიძლება ენდო“, „სამყარო არის ადგილი, სადაც ჩემზე ზრუნავენ“ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2016).

მინდობით აღზრდა, როგორც დამცავი ფაქტორი საუკითესო გამოცდილებით ხელს უწყობს ბავშვებში გარემოს მიმართ ნდობას და ჯანსაღი მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. ამისთვის არსებობს რამდენიმე ნაცადი ტექნიკა, რომელიც ითვლება, რომ კარგად მუშაობს და ეხმარება ბავშვებს ადაპტირდნენ მიმღებ ოჯახებში. კარგი გამოცდილება ამ მხრივ შესაძლოა აღმოჩნდეს:

- საზღვრების დადგენა, რადგან ბავშვი თავს დაცულად გრძნობს, როდესაც საზღვრები მუდმივად გამყარებულია.
- რუტინები - განრიგის დადგენა შესანიშნავი გზაა ბავშვის ცხოვრების რუტინის განცდის შესაქმნელად და საშუალებას აძლევს მას თავი უფრო მშვიდად იგრძნოს.

- ნდობის დამყარება - მნიშვნელოვანია, რომ მზრუნველობაში მყოფმა ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს და ენდოს მიმღებ მშობელს.
- ჯანმრთელობა - ვარჯიში, კარგი ძილის რეჟიმი და ჯანსაღი კვების ჩვევები, სავარაუდოდ, აუმჯობესებს ბავშვის განწყობას (Capstone Foster Care,

მოზარდობის ასაკში მყოფი ბავშვების არასასურველი გამოცდილება, ძალადობის და უგულებელყოფის შემთხვევები ბიოლოგიურ ოჯახში, ან ინსტიტუციებში მეტწილად არის მაპროვოცირებელი ფაქტორი იმისა, რომ მათ განუვითარდეთ ისეთი სარისკო ჩვევები, როგორიცაა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება, რთული ქცევა, ფეთქებადობა, შინაგანი კონფლიქტები და სხვა

ნივთიერებების გამოყენებას და შემდგომ დამოკიდებულებას შეიძლება ჰქონდეს უამრავი სარისკო ეფექტი. მაგალითად, განწყობის ცვალებადობა, ცვლილებები მადაში, რთული ქცევა, სარისკო სექსუალური ქცევები და სხვა. მინდობით აღზრდის სისტემაში მოხვედრის შემდეგ არსებობს მოლოდინი, რომ ქცევა შეიცვლება, თუმცა ხშირად ადაპტაციის და შეგუების ეტაპზე მოზარდმა შესაძლოა გაზარდოს ნივთიერებების მიღება (Child welfare, 2020).

კვლევებმა აჩვენა, რომ ისეთი ნივთიერებების გამოყენება, როგორიცაა მარიხუანა, ალკოჰოლი და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები, გაცილებით ხშირია ბავშვებში, რომლებიც ცხოვრობენ მინდობით აღზრდაში, ვიდრე ბავშვებში, რომლებიც იზრდებიან ბიოლოგიურ ოჯახებში. ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში განთავსებული ბავშვები ბიოლოგიურ ოჯახებში მცხოვრებ თანატოლებთან შედარებით უფრო ხშირად არიან კანონთან კონფლიქტში, აქვთ სირთულეები სკოლაში, აქვთ დანაშაულებრივი ქცევის ისტორია , ებრძვიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს და სხვა. (Child welfare, 2020).

გზამკვლევში, რომელიც ეხება ბავშვთა და მოზადთა დამცავი ფაქტორების მიმოხილვას მინდობით აღზრდაში, ინდივიდუალურ, მეზო და მაკრო დონეზე

გამოყოფილია ძირითადი დამცავი ფაქტორები. ინდივიდუალურ დონეზე მინდობით აღზრდა შეიძლება იყოს დამცავი ფაქტორი რამდენიმე მიმართულებით. ესენია: ემოციური თვითრეგულირება, ურთიერთობის და აკადემიური უნარების განვითრება, ნაკლები დანაშაულებრივი ქცევა, ზრუნვიდან გასვლის შემდეგ დასაქმების გაზრილი შანსი და სხვა ფაქტორები (Child Welfare Information Gateway, 2015).

პოზიტიური სასკოლო გარემო მნიშვნელოვანი დამცავი ფატორია მინდობით აღზრდაში მყოოფი ბავშებისა და მოზარდებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო ზრდის მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების აკადემიურ მოსწრებას. მუდივი საცხოვრებელი გარემო და მიმღები ოჯახი ბავშვებში წარმოქმნის მუდმივობის განცდას და ისინი იღებენ საჭირო ოჯახურ მზრუნველობას, რაც დადებითად აისახება მათ განწყობებსა და ემოციურ მდგომარეობაზე.

რაც შეეხება მაკრო დონეს, ამ შემთხვევაში მინდობით აღზრდის სისტემა მხარდამჭერია ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ადვოკატირება და პოლიტიკის შემუშავებას. ეს შეიძლება გულისხმობდეს ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებას, მინდობით აღმზრდელების აქტიურ გადამზადებას, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების მრავალფეროვანი მომსახურებებით უზრუნველყოფას და ა.შ (Child Welfare Information Gateway, 2015).

კვლევის შედეგების ანალიზი

მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ კი სოციალურ მუშაკებთან და მინდობით აღმზრდელებთან ჩატარებული სიღრმისეული ინეტრევიუების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები. მიმღები მშობლების და სოციალური მუშაკების პასუხები საშუალებას იძლევა გამოვკვეთო რამდენიმე მიმართულება პროგრამის განხორციელების კუთხით და მიმოვიხილო

არსებული გამოწვევები, რომელიც თბილისის მასშტაბით მომუშავე სოციალური მუშაკების და მინდობით აღმზრდელების წინაშე დგას.

თვისებრივი მონაცემების დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კოდირების მეთოდი. ტრანსკრიპტის შედეგად გამოიყო ის ძირითადადი კატეგორიები, კოდები, რომელშიც გაანალიზებულია მნიშვნელოვანი მიგნებები და ეს მიგნებები გამყარებულია ციტატებით.

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების გამოწვევები მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამის გამოყენებისას

მიმღები მშობლების დეფიციტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები

სოციალური მუშაკების შემთხვევაში უპირველეს გამოწვევად დასახელდა მიმღები მშობლების მცირე რაოდენობა, განსაკუთრებით თბილისის მაგალითზე. ისინი აღნიშნავენ, რომ პირველ რიგში რთულია ზოგადად მოძიება პროგრამით დაინტერესებული მიმღები მშობლის და შემდეგ იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოერგება პოტენციური მინდობით აღმზრდელი ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ეს საკმაოდ საპასუხუისმგებლო ნაწილია პროგრამის განხორციელებისას და დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ მიმღებ მშობელს, რადგან თავიდან ავიცილოთ შემდეგი გართულებები და ბავშვი ზრუნვაში გადაყვანის განმეორებადი შემთხვევები, რაც ორმაგად სტრესული შესაძლოა აღმოჩნდეს მინდობით აღსაზრდელისთვის.

ერთ-ერთი რესპოდენტი სოციალური მუშაკი იხსენებს ფაქტს, როდესაც ბავშვი გადაყვანეს მინდობით აღზრდაში, სადაც არასრულწლოვანი მეტ-ნაკლებად ადაპტირებული იყო, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მიმღებ მშობელს სრულად არ ჰქონდა გააზრებული ის პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რომელიც პროგრამის განხორციელებისას ეკისრება და საჭირო გახდა ბავშვის გადაყვანა სხვა ოჯახის.

„გვქონია სამწუხარო შემთვევებიც, როდესაც მიმღებ მშობელს არ ჰქონია გასიგრძეგანებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და წარმოიდგინეთ, რა

რთულია, როდესაც ბავშვი ადაპტირდება ერთ გარემოში და გვიწევს მისი გადაყვანა კონკრეტული რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე კვლავ ახალ მზრუნველ პირთან.“

მიმღები მშობლების სიმწირესთან დაკავშირებით სოციალურმა მუშაკება აგრეთვე ხაზი გაუსვეს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას.

„ძალიან ცოტა ადამიანმა იცის პროგრამის შესახებ და ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც მინდობით აღზრდის პროგრამაზე ინფორმაცია ვრცელდება ეს არის სანაცნობო წრე. მაგალითად, მეზობელი, ოჯახის წევრი და ცხადია, ეს არასაკმარისი“.

იგივე მიმღები მშობლის დეფიციტთან დაკავშირებულ გამოწვევად დასახელდა ბავშვის გეოგრაფიული განთავსების საკითხი და იმის გათვალისწინება, რომ მინდობით აღსაზრდელი ახლოს იყოს ბიოლოგიურ ოჯახთან.

„ვინაიდან თბილისში მიმღები მშობლების რაოდენობა ნაკლებია გვიწევს ბავშვები გადავიყვანოთ რეგიონში. ვცილობთ, აღნიშნული ზომა მივიღოთ უკიდურეს შემთხვევაში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოტივირებული ბიოლოგიური მშობლები, რომლებიც ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობენ ახერხებენ რეგიონშიც ჩავიდნენ და მოინახულონ შვილები“.

რამდენიმე სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა ისიც, რომ რეგიონში ბავშვის განთავსების შემდეგ შემცირებულა კონტაქტის სიხშირე ბიოლოგიურ დედასა და ბავშვს შორის.

სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვა

გამოკითხულ რესპოდენტთა მხრიდან გადმოცემული ინფორმაცია სამუშაო დატვირთვის შესახებ მინობით აღზრდის განხორციელების პროცესში საკმაოდ მაღალი აღზმოჩნდა. 6 სოციალური მუშაკიდან თითქმის ყველა ასახელებდა შემთხვევების მაღალ მაჩვენებელს. აღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააგენტოში მომუშავე ერთ სოციალურ მუშაკზე დაახლოებით 15 შემთხვევა ფიქსირდება და ამასთანავე, შემთხვევების რაოდენობა მათი აზრით მზარდი ტენდენცია აქვს, რადგან კადრების სიმწირეს მუდმივად განიცდიან.

ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: „ამჟამად მე მაქვს 14 შემთხვევა, თუმცა დიდი ალბათობაა იმისა, რომ მომდევნო კვირაში თავიდან გადანაწილდეს ქეისები, კადრების სიმცირის გამო და დამატებით 5-6 შემთხვევა დამეწეროს. ჩემს მსგავსად ეს მოხდება სხვა სოციალურ მუშაკებთანაც“.

სოციალური მუშაკები მინდობით აღზრდის შემთხვევების მზარდ რაოდენობას პირდაპირ უკავშირებენ ვიზიტების განხორციელების შემცირების გამოწვევას. მათი თქმით, როდესაც დიდი რაოდენობით შემთხვევები აქვთ უჭირთ ყოველ კვირეული, ან თუნდაც თვეში ერთხელ მონიტორინგის განხორციელება მიმღებ ოჯახში. მათი სურვილის მიუხედავად, ეს ნაკლებად შესაძლებელია თვის მანძილზე და ამიტომ უწევთ პრიორიტიზირება იმაზე დაყრდნობით, თუ რომელი შემთხევევაა გადაუდებელი და რომელი დგას ნაკლებად დღის წესრიგში.

ერთ-ერთი რესპოდენტის პასუხი: „წარმოიდგინეთ, ჯერ მხოლოდ ალტერნატიული ზრუნვის 27 შემთხვევის მართვა და მუდმივი მონიტორინგია ძალიან რთული და ამ 27 შემთხვევაში მოაზრებულია მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული ბავშვის ამჟამინდელი (მიმღები) ოჯახის მონიტორინგი, რომელიც აგრეთვე ძალიან რთულია, რადგან დრო ყველაფრისთვის ერთად ცოტაა“.

სოციალური მუშაკების თქმით, თუ ვერ ახერხებენ კონკრეტულ მიმღებ ოჯახებში ვიზიტს ისინი ირჩევენ ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებას და მობილური მეშვეობით უკავშირდებია მიმღებ მშობლებს და თუ ბავშვი შესაბამისი ასაკისაა, ბავშვსაც.

სოციალურ მუშაკებს დოკუმენტაციის მოწესრიგებასა და მსგავს ბიუროკრატიულ საკითხებზე გამოწვევები არ აღუნიშნავთ. როგორც აღნიშნეს ეს პროგრამის განხორციელებისას ყველაზე ნაკლებად პრობლემური საკითხია.

სოციალური მუშაკების მიმართ დამოკიდებულება

მინდობით აღმზრდელების და თავად სოციალური მუშაკების თქმით, სოციალური მუშაკის მიმართ ბავშვებსაც და მიმღებ მშობლებსაც გააჩნიათ პოზიტიური; დამოკიდებულება და ეს აისახება მათ შორის კომუნიკაციაზე. სოციალური მუშაკები ხაზს უსვამენ, რომ მინდობით აღმზრდელები აქტიურად თანამშრომლობენ და მზად არიან იმ კონსულტაციების და რჩევების მისაღებად, რომელიც პროგრამის განხორციელების პროცესში ხდება საჭირო. მიმღებ მშობელს და სოციალურ მუშაკს შორის ხშირად მყარდება სატელეფონო კომუნიკაცია და შესაძლებლობიდან გამომდინარე ოჯახში პირისპირ შეხვედრებიც.

დამოკიდებულებების კუთხით სოციალურმა მუშაკებმა ასევე ხაზი გაუსვეს ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობას და მათ მოლოდინებს. როგორც ისინი იხსენებენ, ყოფილა შემთხვევები, რომლის დროსაც ნეგატიურად განეწყო ბიოლოგიური ოჯახი, თუ მშობლები სოციალური მუშაკის მიმართ. ეს ძირითადად ხდება, მაშინ როცა სოციალურ მუშაკს უწევს ბავშვის ოჯახიდან განცალკევების საკითხის დღის წესრიგში დაყენება და საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ოჯახიდან გაყვანა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ გონივრულ ვადებს ვაძლევთ მშობლებს, რომ შედარებით გააუმჯობესონ ბავშვზე მზრუნველობის, მხარდაჭერის და უსაფრთოების საკითხები, მაგრამ თუ ეს მაინც გაუთავლისწინებელია და ბავშის ფუნდამენტურ უფლებებს საფრთხე ემუქრება, მაშინ გვიწევს მისი მინდობით აღზრდაში განთავსება. ეს იწვევს აგრესიას, უსამართლობის განცდას მათში, მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვცილობთ მშვიდად ავუხსნათ პროცესის შესახებ და არ ვზოგავთ ენერგიას, რომ გავააზრებინოთ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება.

ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს: „წინა კვირაში მქონდა ოჯახიდან განცალკევების ორი შემთხვევა და ორივე შემთხვევაში გაჭირდა ბავშვის გაყვანა. მშობელი წინააღმდეგი იყო, თუმცა ბავშვებს სურდათ მინდოობით აღზრდაში გადასვლა. ამ შემთხვევაში საჭირო გახდა პოლიიცის ჩარევა და მისი თახლებით ბავშვების გამოყვანა, რაც საკმაოდ სტრესული და არასასურველი იყო ჩემთვის,

როგორც სოციალური მუშაკისთვის. ვცდილობ რომ მსგავსი შემთხვევები თავიდან მაქსიმალურად ავირიდო, მაგრამ სამწუხაროდ ასეც ხდება“.

ასევე ერთ-ერთმა რესპოდენტა მაგალითად წარმოადგინა შემთხვევა, რომელიც გარკვეულწილად ღიმილისმომგვრელი იყო მისთვის და ამავდროულად აფიქრებდა იმაზე, თუ ჯერ კიდევ რატომ ფიქრობენ ადამიანები, რომ სოციალური მუშაკები ოჯახიდან ბავშვის გაყვანაზე არიან ორიენტირებულები.

„რამდენიმე დღის წინ სააგენტოში შემოვიდა წერილი, რომელშიც ტარდებოდა შემდეგი შინაარსის ტექსტი. მამა გვწერდა, რომ ის და მისი მეუღლე დაშორდნენ, რის შემდეგაც მეუღლე საზღვარგარეთ წავიდა და ბავშვი მიატოვა. ბავშვი ახლა მამასთან იზრდება, სრულიად დაკმაყოფილებული აქვს ყველა საჭიროება, თუმცა მშობელს უნდა, რომ ეს ინფორმაცია ჩვენ ყოველიშემთხვევისთვის ვიცოდეთ, რადგან საფრთხე არ დაემუქროს მისი და მისი შვილის თანაცხოვრებას. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მე დამრჩა განცდა, რომ მას ეშინოდა ჩვენი რეაგირების და ფიქრობდა, რომ თუ ბავშვი მხოლოდ მამასთან იზრდებოდა სოციალური მუშაკი მას ოჯახიდან განაცალკევებდა. მსგავსი დამოკიდებულებები საკმაოდ გავრცელებულია და ადამიანები ჯერ კიდევ სტერეოტიპულად ფიქრობენ ჩვენს პროფესიაზე და ფუქნცია-მოვალეობებზე.

სერვისებზე ხელმისაწვდომობა

სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით ინტერვიუს დროს გამოიყო რამდენიმე მიმართულება: სერვისები ბავშვებისთვის, ბიოლოგიური ოჯახებისა და მინდობით აღმზრდელებისთვის. მინოდბით აღზრდაში მყოფი ბავშვებისთვის შედარებით მეტი მხარდამჭერი სერვისი გამოჰყვეს სოციალურმა მუშაკება, როგორიცაა დაზღვევა, უფასო ფსიქოლოგიური მომსახურება, რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამებში ჩართულობა, ადრეული განვითარების პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სხვა. მათი მოსაზრებით, მინდობით აღზრდის სისტემა და მიმღები ოჯახი ბოლომდე ცდილობს მოერგოს ბავშვის საჭიროებებს, გაითვალისწინოს მისი წარსული

გამოცდილება, მოეპროს ბავშვს ადეკვატურად შეუქმნან მათ უსაფრთხო, სანდო გარემიო, სადაც განვითრებას და თვითგამოხატვას აქტიურად შეძლებს.

„რადგან პროგრამის ამოსავალი წერტილი არის ბავშვი და მთავარი მიზანი მისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, შესაბამისად ყველა სერვისი და მომსახურება ცდილობს მოერგოს მინდობით აღსაზრდელს და მის საჭიროებებს, სერვისები უფრო გვაქვს ბავშვებთან, რასაც მიმღებ მშობლებზე ვერ ვიტყოდი“.

„არის შემთხვევები, როდესაც სოციალურ მუშაკებს გვიწევს ბრძოლა კონკრეტული სერვისი დასაფინანსებლად. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგალითად, მინდობით აღსაზრდელების დაზღვევა არ აფინანსებს სტომატოლოგიურ მომსახურებას და ხშირად ვცდილობთ მსგავსი აუცილებლობის დროს დავიხმაროთ დონორი ორგანიზაციები და არგუმენტირებულად ავუხსნათ მათ, რომ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფს სჭირდება ფინანსური დახმარება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში. ხშირად ეს ბრძოლო ამართლებს, თუმცა გამოწვევაა ის რომ ბრძოლოა მუდმივად გვიწევს“.

მიმღებ და ბიოლოგიურ მშობლებთან მიმართებით გამოიკვეთა მიმღები მშობლებისთვის ტრენინგების საჭიროება და ბიოლოგიური მშობლებისთვის მშობლის უნარების გამაძლიერებელი სერვისების ფაქტობრივი არარსებობა. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ის გადამზადების პროგრამა, რომელის გავლა მიმღებ მშობლებს უწევთ ბავშის განთავსებამდე არასაკმარისი და მოკლეხნიანია, რაც ამცირებს მის ეფექტურობას.

„ტრენინგები მიმღები მშბლებისთვის 2-3 დღე გრძელდება და ეს სრულიად არ არის საკმარისი იმ კომპეტენციის და უნარების მისაღებად, რაც მიმღებ მშობელს სჭირდება. განსაკუთრებული გამოწვევა იყო ამ მხრივ კოვიდ პანდემიის შემდგომი პერიოდი, რადგან ყველა ტრენინგი კოვიდის შემდეგ ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს“.

სოციალური მუშაკები განსაკუთრებით აღნიშნავენ ზრუნვის და მოპყრობის უნარების დეფიციტს მიმღებ მშობლებში მაშინ, როდესაც საქმე ეხება რთული ქცევის მქონე ბავშვების ქცევების მართვას და სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობას.

„არც თუ იშვიათია შემთვევები, როდესაც მიმღებ მშობლებს სჭირდებათ ჩვენი და სხვა სპეციალისტების დახმარება რთული ქცევის მქონე ბავშებთან მუშაობის დროს, რადგან მათი კომპეტენცია ამ მხრივ ხშირად არასაკმარისია და შესაბამის გადამზადებას საჭიროებს ქცევის მართის უნარების გამოსამუშავებლად“.

რაც შეეხება ბიოლოგიური მშობლებს, სოციალური მუშაკები ფიქრობენ, რომ იმისთვის, რომ ბავშვი რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახში საჭიროა მშობლის უნარების გაძლიერებაზე აქტიური მუშაობა, რომლის საშუალებაც მათი აზრით არ არსებობს, რადგან არ მოიძებნება სერვისი, რომელიც ამ კუთხით მხარს დაუჭერს.

მიმღები მშობლების ძირითადი საჭიროებები და არსებული მდომარეობა

მინდობით აღმზრდელთა ანაზღაურება და დამხმარე სერვისები

მინდობით აღმზრდელთა ანაზღაურება 2019 01 იანვრიდან განისაზღვრება შედეგნაირად-ნათესაური მინდობით აღზრდის შემთხვევაში ანაზღაურება შეადგენს 200 ლარს, არანათესაური, რეგულარული მინდობით აღზრდის შემთხვევაში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშებისთვის დრეში 30 ლარს. აგრეთვე ანაზღაურება არ ითვალისწინებს ასაკობრივ და გეოგრაფიულ განსხვავებებს (საქართველოს პარლამენტი, 2006).

მინდობით აღმზრდელებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი არასაკმარისად მიიჩნევენ ანაზღაურებას და ფიქრობენ, რომ ის ფულადი სარგებელი, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული ზოგჯერ ბავშვის ყოველთვიურ საჭიროებებსაც კი ვერ ფარავს.

„ჩემთვის ეს ანაზღაურება არაფერს ნიშნავს, ძირითადად ყველა თეთრი ამ ფულიდან ბავშს ხმარდება და მე ამითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბავშვსაც კი არ ჰყოფნის, განსაკუთრებით გაუთვალისწინებელ სიტუაციებში“.

„ამჟამად ორი ბავშვი მყავს მინდობით აღზრდაში, ორივეს განსხვავებული საჭიროებები აქვს, ერთი 1 წლის და 2 თვისაა და შესაბამისად მხოლოდ მის პამპერსში და კვებაში იმდენი ფული მიდის, რომ ანაზღაურება ნაკლებად ან საერთოდ არ მრჩება. მეორე შეზღუდული შესძლებლობის მქონე ბავშვია და მასაც უამრავი საჭიეროება აქვს. ასევე მყავს ერთი ბიოლოგიური შვილი 8 წლის. მათ ჩემი შვილისგან არაფრით ვარჩევ, ისე მიყვარს და მხარს ვუჭერ, როგორც ჩემს შვილს. ეს ანაზღაურება მინიმალურია“.

დამხმარე სერვისების არსებობას ბავშვებისთვის პოზიტიურად შეფასდა, განსაკუთრებით საყოველთაო დაზღვევის კუთხით, მაგრამ ასევე აღინიშნა, რომ ზოგჯერ დაზღვევაც ბოლომდე არ უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას.

„იმ დღეს ექიმთან მყავდა ბავშვი და მხოლოდ ერთ კონსულტაციაში 90 ლარი დაგვჭირდა, ასევე რთულია თანხა გეყოს, თუ სტომატოლოგის ჩარევა დასჭირდა ბავშს, რადგან ეს მომსახურება არ ფინანსდება“.

როგორც სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ პრობლემური ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხი. მინდობით აღზრდაში მყოფ არასრულწლოვანთა 45%, საჭიროების შემთხვევაში ვერ იღებს სრულყოფილ სამედიცინო კონსულტაციას, გამოკვლევებსა და მედიკამენტურ მკურნალობას. ამის მიზეზზად დასახლედა სახელმწიფოს არასაკმარისი ჩართულობა (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

თუმცა ამის საპირწონედ სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ თუ ბავშვს სჭირდება სხვადასხვა სახის, გადაუდებელი სამედიცინო ჩარევა, მაგალითად

სტომატოლოგის მომსახურება და ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ისინი ყველაფერს აკეთებენ რომ ბავშვმა ეს დაფინანსებმა დონორი, კერძო ორგანიზაციებიდან მიიღონ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტორიც, რომ მიმღები მშობლები არ სარგებლობენ არანაირი ბენეფიტებით სახელმწიფოს მხრიდან. მაგალითად, დაზღვევა, უფასო ტრანსპორტირება, დამატებითი ანაზღაურება და სხვა. ძირითადად სერვისები ბავშვებზეა გათვლილი, თუმცა ბოლომდე პოზიტურად არც აღნიშნული ბენეფიტები მიიჩნიეს მიმღებმა მშობლებმა.

წლის სახალხო დამცველის ანგარიშზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა ეროვნულ დონეზე არ გვაქვს მიმღები მშობლების რეგულარული ტრენინგებისა და გადამზადების სისტემა. სახახლო დამცველის აპარატის მიერ შემოწმებულ მიმღები ოჯახების ტრენინგები (საქართველოს სახალხო დამცველი , 2016).

როგორც სოციალური მუშაკების აგრეთვე, მინდობით აღმზრდელების მოსაზრებით, მათ სჭირდებათ მეტი კვალიფიკაცია და ისურვებდნენ განმავითარებელ ტრენინგებში მონაწილეობას.

„როცა მინდობით აღმზრდელად დავრეგისტრირდი, მაშინ გაგვატარეს 3 დღიანი ტრენინგი და მას შემდეგ მსგავსი შემოთავაზება არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა დრო მაქვს, ამდენი ხნის შემდეგ ვისურვებდი მეტი ცოდნა მიმეღო და კიდევ ერთხელ დავესწრებოდი ტრენინგებს“.

მინდობით აღმზრდელების სამუშაო დატვირთვა და ემოციური ფაქტორები

მინდობით აღმზრდელები ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ მათი სამუშაო პროცესი საკმაოდ საპასუხისმგებლო და დატვირთულია. განსაკუთრებით რამდენიმე მინდობით აღსაზრდელთან მუშაობის შემთხვევაში. ის მიმღები მშობელი,

რომელსაც 3 ბავშვი ჰყავს ოჯახში აღნიშნავენ, რომ თითქმის საერთოდ არ რჩებათ დრო საკუთარი თავისთვის.

ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: „სულ ბავშვებს ვუთმობ მთელს დროს, დილიდან მათზე ზრუნვა და მათი მოვლა მიწევს, პირადი ცხოვრებისთვის ნაკლებად გამოვყოფ დროს, თანაც ამხელა პასუხისმგებლობაა“.

ასევე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა ემოციური მიჯაჭვულობის კუთხით, როდესაც მინდობით აღზრდის სისტემიდან ბავშვი რეინტეგრირდება ბიოლოგიურ ოჯახში, ან შვილდება. მინდობით აღმზრდელები ამ ფაქტს საკმაოდ ემოციურად იხსენებენ.

„ერთი ბავშვი მყავდავდა, ორი თვის წინ წაიყვანეს, გააშვილეს. 6 დღიდან მე ვზრდიდი და 1 წლის და 4 თვის გააშვილეს, ძალიან რთული იყო, გამიჭირდა და დღემდე მიჭირს შეგუება, საკუთარი შვილივით მყავდა“

„3 წლის წინ მყავდა ბავშვი, რომელიც ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა, მასთანაც და მის მშობლებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს დღემდე, თუმცა მისი გაშვება ძალიან გამიჭირდა“.

მინდობით აღზრდის სისტემის დამცავი და რისკ-ფაქტორები

ძირითადი დამცავი და რისკ ფაქტორების ურთიერთმიმართება გამოვლინდა მაშინ, როდესაც მიმღები მშობლები და სოციალური მუშაკები საუბრობდნენ მოზარდობის ასაკზე და თანმხლებ სირთულეებზე. მიმღებ ოჯახებში განთავსებული მოზარდები ხშირად ეჭიდებიან ისეთ სირთულეებს, როგორიცაა დაძაბული ურთიერთობა მიმღებ მშობლებთან, აკლოჰოლზე და ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ნეგატიური განწყობები გარემოს და სკოლის მიმართ და სხვა.

მიმღები მშობლები აღნიშნავენ, რომ მსგავს ასაკობრივ სირთულეებს ისინი გაგებით ეკიდებიან, თუმცა არის შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკის ჩართვა და კონსულტაციის მიღება ხდება საჭირო. სოციალური მუშაკები კი თავის მხრივ აღნიშნავენ, რომ ხშირად მიმღებმა მშობლები ცდილობენ ურთიერთობის

დალაგებას, თუმცა როგორც ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა: „მათ არ აქვთ საკმარისი კომპეტენცია, მიდგომები და უნარი სწორად გაუმკლავდენენ თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპოდნტები მიუთითებდნენ მინდობით აღზრდის დადებით გავლენაზე ბავშვის განვითრებისა და სირთულეების დაძლევის პროცესში. მათ გაიხსენეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მიმღები ოჯახი ბავშვს დაეხმარა გადაელახა ისეთი სირთულეები, როგორიცაა ნივთიერებებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულება. ერთ-ერთი მინდობით აღმზრდელი იხსენებს:

„ჩემთან ცხოვრების შემდეგ ბავშვი რადიკალურად შეიცვალა. წარსული გარემოდან და მიღებული სტრესისგან გამომდინარე ხშირად მოიხმარდა მავნე ნივთიერებებს. ამ პრობლემის დაძლევა ჩემი მიზანი იყო, ლმობიერი მიდგომებით შევძელი მისთვის ეს მავნე ჩვევა ამერიდებინა. ხშირად იხსენებს იმ დროს, როცა აქტიურად იყენებდა მავნე ნივთიერებებს და მეუბნება, რომ ჩემი მადლობელია, რომ დავეხმარე“.

როგორც ლიტერატურის ანალიზში აღინიშნა პოზიტიური სასკოლო გარემო, როგორც დამცავი ფაქტორი ზრდის მინდობით აღსაზრდელების სწავლის მოტიცვაციას (Child Welfare Information Gateway, 2015). საბაკალავრო კვლევის ფარგლებში რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ სწავლისადმი დამოკიდებულება ბავშვებში შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა ამას მათი მხრიდან დრო და ძალისხმევა დასსჭირდა.

მინდობით აღზრდის სისტემის გაუმჯობესების გზები და რეკომენდაციები

რადგან მიმღები მშობლების დეფიციტის ერთ-ერთი საავრაუდო გამომწვევი მიმზეზი ცნობიერების ნაკლებობაა, სააგენტოს სოციალური მუშაკები

რეკომენდაციას უწევენ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას და ამ გზით მიმღები მშობლების რაოდენობის ზრდას;

- მიშვნელოვანი რეკომენდაციად და სისტემის გაუმჯობესების გზად, როგორც სოციალურ მუშაკებს, ისე მიმღებ მშობლებს ესახებათ მინდობით აღმზრდელების ანაზღაურების ზრდა
- ასევე, მინდობით აღზრდის პროგრამის გაუმჯობესების გზას წარმოადგენს ტრენინგების და ვორქშოფების დაორგანიზება მიმღები მშობლებისთვის წელიწადში ერთხელ მაინც;
- ცალკე საჭიროებად გამოიკვეთა გადამზადების აუცილებლობა იმ მშობლებისთვის, რომლებიც რთული ქცევის მქონე ბავშებთან, მოზარდებთან და სპეციალური საჭიროების მქონე არასრულწლოვნებთან მუშაობენ;
- მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეძლოს სოციალური მუშაკებისთვის გარკვეული მიმართულებების ჩამოშორება, რათა სოციალურ მუშაკებს ჰქონდეთ მეტი დრო უკეთესად იზრუნონ სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების საჭიროებებზე;
- მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, რომ სისტემამ მეტი სერვისის მოძიების საშუალება მისცეს სოციალურ მუშაკს, რადგან ხარისხიანი დახმარება გაუწიოს მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვს და მზრუნველს. ამისათვის კი მთავარი რეკომენდაციაა სახელმწიფოში შეიქმნას მსგავსი სერვისები;
- მიმღბი მშობლების ინტერესის და მოტივაციის გასაღრმავებლად რეკომენდირებულია მათთვის ისეთი ბენეფიტების გამოყოფა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევას, ტრრანსპორტირებას, დამატებით წამახალისებელ ანაზღაურებას;
- რეკომენდაციის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ბიოლოგიური მშობლების უნარების გაძლიერების ტრენინგები.

დასკვნა

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და მინდობითი აღზრდის სისტემის დანერგვა, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, ქვეყნისთვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. მზრუნველობამოკლებული ბავშვების აღზრდა ოჯახთან მიახლოებულ გარემოში ნამდვილად წარმოადგენს ბავშთა კეთილდღეობის სფეროს მთავარ პრიორიტეტს, თუმცა მინდობით აღზრდის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები, რომლიც აფერხებს ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების პროცესს და პროგრამაში ჩართული მხარეების, კერძოდ მინობით აღმზრდელების და სოციალური მუშაკების მხრიდან ხაზს უსვამს გარკვეულ ხარვეზებს.

სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკის როლი წარმატებული მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია. თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული რთული ვითარების გამო სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ ბავშვებთან, მინდობით აღმზრდელებთან და ბიოლოგიურ ოჯახებთან სათანადო მუშაობის განხორციელებას, რადგან ხშირად არ რჩებათ დრო ვიზიტებისა და აქტიური კომუნიკაციისთვის. სოციალური მუშაკები ასევე ხაზს უსვამენ სერვისების დანაკლისს, როგორც მინდობით აღმზრდელებისთვის, ისე ბიოლოგიური მშობლებისთვის.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მინდობით აღზრდის სისტემაში განთავსებული ბავშვების ძირითადი უფლებები ხშირ შემთხვევაში მაქსიმალურად დაცულია და ამ საკითხის უზრუნველყოფაში სააგენტოს სოციალური მუშაკების და მინდობით აღზდის პროგრამის როლი დიდია. თუმცა აღინიშნა, რომ მინდობით აღზრდის სისტემაში განთავსებულ სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ინდივიდუალური საჭიროებები აქვთ და ხშირად მათი წარსული გამოცდილება, როგორც რისკ ფაქტორი აფერხებს მათი ადაპტირების პროცესს ახალ მზრუნველ ოჯახში და განსაკუთრებით მოზარდებში წარმოქმნის ისეთ სირთულეებს, როგორიცაა ალკოჰოლზე და ნივთიერებებზე დამოკიდებულება,

სკოლისა და სწავლისადმი ნეგატიური განწყობები, დაძაბული ურთიერთობა აღმზრდელებთან, გაუცხოება, თანატოლთა წრე, ქუჩასთან კავშირში ყოფნა და სხვა. მინდობით აღზრდის სისტემა ცდილობს არასრულწლოვნებს დაეხმაროს აღნიშნული სირთულეების დაძლევაში. წარმატებული მაგალითები გვიჩნებს, რომ ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების შემდეგ მოზარდები წყვეტენ ალკოჰოლისა და მავნე ნივთიერებების მოხმარებას, აგრეთვე ნაკლებ დროს ატარებენ ქუჩაში და უჩნდებათ სწავლის მოტივაცია. თუმცა ის დამცავი ფაქტორები, რომელიც ლიტერატურაშია განხილული ადგილობრივ მაგალითზე ნაწილობრივ ხორციელდება და ძირითადად საჭიროა ისეთი დამცავი ფაქტორების გაძლიერება, როგორიცაა ოჯახი, სასკოლო გარემო, საზოგადოება, სისტემური ცვლილებების განხორციელების აქტუალურობა, ადვოკატირება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

American Academy Of Pediatrics. (2019). *Developmental Issues for Young Children in Foster Care.* Retrieved from https://www.umassmed.edu/globalassets/faces/documents/fostercare-general/developmental-issues-for-young-children-in-foster-care.pdf

Capstone Foster Care. (2023). *Tips for coping with attachment disorders in Foster Children.* Retrieved from https://www.capstonefostercare.co.uk/knowledge-centre/tips-for-coping-with-attachment-disorders-in-foster-children

Child welfare. (2020). *Preventing, Identifying, and Treating Substance Use Among Youth in Foster Care.* Retrieved from https://www.childwelfare.gov/pubPDFs/bulletins_youthsud.pdf

Child Welfare Information Gateway. (2015). *Promoting Protective Factors for Children and Youth in Foster Care: A Guide for Practitioners.* Retrieved from https://www.childwelfare.gov/pubPDFs/guide_fostercare.pdf

European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe. (2015). *ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო.* Retrieved from https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_rights_child_KAT.pdf

Laura E. Levvine, J. M. (2020). *Child Development from Infancy to Adolescence.* Los Angeles: SAGE.

NSW Department of Community Services. (2006, july). *The importance of attachment in the lives of foster children.* Retrieved from https://earlytraumagrief.anu.edu.au/files/research_attachment.pdf

Therese Wisso, A. M. (2021). *Social workers' constructions of parents to children in foster care.* Retrieved from file:///C:/Users/Useru/Downloads/Social_workers_constructions_of_parents_to_childr.pdf

UNICEF. (2009). *AssessmentT Of The Child Welfare Reform Process In Georgia.*

United Nations. (1989). *The Convention on the Rights of the Child.* Retrieved from https://www.unicef.org/georgia/convention-rights-child#:~:text=of%20the%20Child-,Adopted%20by%20the%20UN%20General%20Assembly%20in%201989%2C%20the%20Convention,of%20passive%20recipients%20of%20charity.

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი. (2019). *სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებების კვლევა.*

ბეგიაშვილი, მ. (2019). *მინდობით აღზრდის პროგრამის განხორციელების თავისებურებები საქართველოში და სოციალური მუშაობა.* Retrieved from https://openscience.ge/bitstream/1/1338/1/MA-Thesis.BegiashviliSOCMUs2019.pdf

სალომე ნამიჭეიშვილი, მ. მ. (2010). *სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები.* თბილისი.

საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის. (2014, ივლისი). *ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება.*

საქართველოს პარლამენტი. (2006, 12 29). *საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ.*

საქართველოს პარლამენტი. (2017, მაისი 24). *შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.* Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=6

საქართველოს პარლამენტი. (2018, ივნისი 29). *კანონი სოციალური მუშაობის შესახებ.* Retrieved from https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=7

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. (2000, მაისი 25). *კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.* Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (2016). *მიჯაჭვულობა.* Retrieved from http://phf.org.ge/ka/resources/mijachvuloba/

საქართველოს სახალხო დამცველი . (2016). *სპეციალური ანგარიში მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის შესახებ .* Retrieved from https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041116112465558.pdf

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, 1000318 6 23 00564005 (05 31, 2023).

დანართი 1-კითხვარი სოციალური მუშაკებისთვის:

1. პირველ რიგში გთხოვთ ისაუბროთ თქვენი სამუშაო დატვირთის შესახებ?

2. რა ძირითად გამოწვევებს დაასახელებდით მინდობით აღზრდის შემთხვევების მართვის დროს?
3. რამდენად ითვალისწინებთ ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსებისას ბიოლოგიური ოჯახისა და მიმღები ოჯახის ტერიტორიულ სიხალოვეს?და-ძმებს შორის სიახლოვის შენარჩუნებას?
   რა ტიპის მხარდაჭერა და სერვისები არსებობს დღესდღეობით ქვეყანაში რომ განხორციელდეს ეფექტური მინდობით აღზრდა?
5. თქვენი აზრით როგორი სერვისების დანაკლისს განიცდის სოციალური მუშაკი, როდესაც მუშაობს მინდობით აღზრდის შემთხვევაზე?
6. თვენი აზრით, რამდენად ხდება ბავშვის საუკეთსო ინტერესების გათვალისწინება დღესდღეობით არსებული მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში?
7. რა რეკომენდაციებს გასცემდით, რომ მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული არსებული გამოწვევბი აღმოიფხვრას?

დანართი 2- კითხვარი მინდობით აღმზრდელებისთვის:

ირველად როდის ჩაერთეთ პროგრამაში და გახდით მინდობით აღმზრდელი?

ოგორია თქვენი სამუშაო დატვირთვა ამჟამად, როგორც მინდობით აღმზრდელის?

ა ძირითადი საჭიროებები აქვთ მათ და როგორ ახერხებთ მათ უზრუნველყოფას?

ას იტყვით მინდობით აღმზრდელის ბენეფიტებზე?(მაგალითად,ტრანსპორტი, დაზღვევა და სხვა)

ა ძირითდადი გამოწვევები არსებობს თქვენთვის, როგორც მინდობით აღმზრდელისთვის?

ამდენად დაცული და გათვალისწინებულია თქვენი აზრით ბავშვის უფლებები და საჭიროებები მინდობით აღზრდაში?

ქვენი აზრით რამდენად გაქვთ საჭირო უნარები და გამოცდილება იმისთის, რომ იმუშაოთ ბავშვებთან და რაში გჭირდებათ გაძლიერება?

ოგორი ურთიერთობა აქვთ ბავშვს/ბავშვებს და თქვენ ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან?

ამდენად გრძნობთ სახელმწიფოს/სისტემის მხარდაჭერას, როგორც მინდობით აღმზრდელი?

ას შეცვლიდით არსებულ პროგრამაში და რის გაუმჯობესებას ისურვებდით?

აერთო ჯამში რამდენად ეფექტური მიგაჩნიათ მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამა?